№ [illegible] შაბათი სექტემბრის 14. № 331

ახალი საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

სომხის ეროვნული საბჭოს ცნობილ[illegible] ფასეულობის აულიან. — ამეოიეის სანაპირ[illegible] 3 გემი დაიტუნა. — ახლო მომავალში ოფიციალურად გამოცხადდება ეირიმის დამოუკიდებლობა. სექტ. 15-ს ტფილისში გაიხსნება საქ. სოც.-ფედ. სარევ პარტიის კონფერენცია.

მწუხარებით გულმოკლული ნინო თომას ასული აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში ტრაღიკულად დაიღუპა მისი საყვარელი და ძვირფასი მეუღლე

კაპიტანი არჩილ დიმიტრის ძე საყვარელიძე.

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 6 ს. გამოსვენება ქვაშვეთიდან ხვალ კვირას, დილის 11 ს. დაკრძალვა დიდუბეში.

დედა მარიამ, და-ძმები: დარია, სოფიო, ეკატერინე, ზაქარია, ივანე და მიხეილ საყვარელიძენი აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და საზოგადოებას, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში ტრაღიკულად დაიღუპა პირველისა უძვირფასესი შვილი და მეორეთა საყვარელი ძმა კაპიტანი

არჩილ დიმიტრის ძე საყვარელიძე.

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 6 ს. გამოსვენება ქვაშვეთიდან ხვალ კვირას, დილის 11 ს. დაკრძალვა დიდუბეში

სიძეები: ვლადიმერ ყანჩაველი, ალექსანდრე მჭედლიშვილი, ვლადიმერ ლაშხაური და რძალი მარიამ საყვარელიძისა აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და საზოგადოებას, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში ტრაღიკულად დაიღუპა პირველთა ძვირფასი ცოლის ძმა და უკანასკნელის მაზლი კაპიტანი

არჩილ დიმიტრის ძე საყვარელიძე.

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 6 ს. გამოსვენება ქვაშვეთიდან ხვალ კვირას, დილის 11 ს. დაკრძალვა დიდუბეში.

[illegible]ველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ტფილისის ორგანიზაციები აუწყებენ საზოგადოებას, რომ სამეგრელოში ტრაღიკულად დაიღუპა ძვირფასი ამხანაგი

კაპიტანი არჩილ საყვარელიძე.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. გამოსვენება ქვაშვეთიდან ხვალ კვირას, დილის 11 ს. დაკრძალვა დიდუბეში. 1312

[illegible]-ჟ საარტილერიო ბრიგადის ოფიცრები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა მათი საყვარელი ამხანაგი

კაპიტანი არჩილ საყვარელიძე.

გამოსვენება ქაშვეთიდან ხვალ, კვირას, დილის 11 საათზე. დაკრძალვა დიდუბეში. 1316

სიმონ, დათიკო, ნიკო, ლიზა, მარო და მათი დედა მელანია ქურთაშვილები აუწყებენ მწუხარებით სავსენი ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი ბიძაშვილის, პირველთანეფის და უკანასკნელის მაზლის წულის

ზაქარია ლევანის ძის ქურთაშვილის.

გამოსვენება იქნება დღეს, შაბათს ენკენისთვის 14-ს ქვაშვეთის ეკლესიაში, 10 საათ. დაკრძალვა კუკიის წმ ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, დავიდოვის ქუჩა, 8. 2008

ანა კონსტანტინეს ასული ჩუბინიძე, მარიამ კონსტანტინეს ასული ჩორბაძე და ევგენია კონსტანტინეს ასული აბულაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი ბიძა

ზაქარია ლევანის ძე ქურთაშვილი.

გამოსვენება დღეს, შაბათს ენკენისთვის 14-ს დილის 10 საათზე, [illegible]შვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2005

[illegible] დამწუხარი მეუღლე ალექსანდრე დიმიტრის ძე, შვილები: შალიკო [illegible] და მული იულია დევდარიანები, მამა სვიმონ ნიკოლოზის ძე მაჭავ[illegible]ი, ძმები იოსები, ალექსანდრე და დავითი და რძლები ანნა და ელენე მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

[illegible]ლია სვიმონ მაჭავარიანის ასულ დევდარიანის

[illegible]ალებას. პანაშვიდი დღეს, შაბათს, 5 საათზე ჩუღურეთის წმ. ნინოს ეკლესიაში. მიცვალებულის გამოსვენება კვირას დილის 10 საათ[illegible]ამიანცის საავადმყოფოდან წმ. ნინოს სასაფლაოზედ დასაკრძალავად. 2009

[illegible] შეწუხებულნი ანტონ, ნიკოლოზ და ვასილ ივანეს ძენი, მათი მეუღლ[illegible]ი: ეკატერინე, ელენე, მართა თავიანთი შვილებით აუწყებენ ნათესავ[illegible]ს და ნაცნობებს, რომ ძვირფასი დედის, დედამთილის და დიდედის

თამარ [illegible] ესტატეს ასული ფალავანდიშვილის

[illegible]ლის მოსახსენებლად გადახდილ იქნება 40 დღის პანაშვიდი კვირას, ენკენისთვის 15-ს 1 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. 2003

გულდაოუთქეული მატრონა სიმონის ასული გვერდწითელი, ძმები: კონსტანტინე, თომა და პავლე თომას-ძენი და და ანა თომას ასული ციციშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ენკენისთვის 11-ს საღამოს 8 ს. გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი დისწული, ხოლო უკანასკნელთა ძვირფასი და, საქალებო ინსტიტუტის მე-6 კლასის მოწაფე

ნინო თომას ასული ციციშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ს. ინსტიტუტშიეე. გამოსვენება [illegible]ხდება იქიდანვე შაბათს ენკენისთვის 14-ს დილის 9 ს. ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

თავზარდაცემულნი მეუღლე გიორგი სიმონის ძე, შვილები ერმალოზ, ლადო, სონა, ალექსი, გრიშა და კოლა; დები სიდონა, თებრო, ალათი და ივლიტა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სექტემბრის 10-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მარად დაუვიწყარი

გარბარე [illegible] მიხეილის ასული კევლიშვილი.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე რკინის გზის საავადმყოფოს ეკლესიაში. დაკრძალვა (წირვის შემდეგ) კვირას, სექტემბრის 15-ს ნაძალადევის ეკლესიის გალავანში. 2006

დრმად შეწუხებულნი მარიამ ივანეს ასულ, გიორგი ქაიხოსროს ძე დავითაშვილები, დარია ივანეს ასული, ელიზბარ ვასილის ძე კარბელაშვილები შვილებით და სოფიო ივანეს ასული ფალავანდიშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ძვირფასი დედის და სიდედრის

თამარ [illegible] ესტატეს ასული ფალავანდიშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება 40 დღის პანაშვიდი კვირას, ენკენისთვის 15-ს 1 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში 2003

ვაჟთა და ქალთა გიმნაზია
ნ. გ. თევზაძისა

ვაჟლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ძ ხ ე ნ ი ა ს ძ. № 11

ოთხოვნები მიიღებენ ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მაცალინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა ძოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს - გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. **გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს.** ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყება 2 ენკენისთვიდან.

2002 გიმნაზიის გამგე ს ნ შულგინი.

სახელმწიფო თეატრი

1918—19 წლის საოპერო სეზონი ნ. ლ. ლევიცკის დირიჟორობა

კვირას სექტემბრის 15 ს და ორშაბათს 16-ს

რიხარდ ვაგნერის — რიხარდ ვაგნერის

ტანგეიზერი

ოპერა 3 მოქმ., 4 სურ. ნ. ლევიცკის დადგმით

მონაწილეობენ ქ-ნნი: ვოლ-ლევიცკისა, შვამბერგისა, გორინსკისა, ოვსიანიკოვისა, ვლადიმიროვისა, ვლადიმირისა; ბ.ბ. კანშინი, მოლჩანოვი, ჯრონსკი, ნიკოლსკი, სიმონინი კურბატოვი, ორლოვი

დირიჟორი ტოლერბანი — დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასა ღია 10—2 ს, საღამოს 6 საათიდან სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: ხუთშაბათს სექტ. 17 რიგოლეტო, ოთხშაბათს 18 „ცარსკაია ნევესტა". 1314

ქართული წიგნთა სავაჭრო
1878 წ. „განათლება" 1918 წ.
გრიგოლ ჩარკვიანისა.

ტფილისი: ნაძალადევი ქალ. 11 ნაწ. ხუდადაშვილის ქ. № 14 შეფველის აფთიაქის ახლოს. 433

ტფილისი. სექტემბრის 14

ჩვენი რეაქციის ბუდე

ვინ არ მიაქცევდა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ბოლო დროს ტფილისიდან კერძოდ და საქართველოდან საერთოდ შეწყდა უცხოელების გასვლა. ადგილობრივი რუსობა აშკარად ხედავს, რომ ამ ჟამად მოვლს ყოფილ რუსეთში საქართველო ერთად ერთი ისეთი კუთხეა, სადაც ცხოვრება მაინც შეიძლება და რჩებიან კიდეც ისეთებიც, რომელთაც ქონებრივი პირობა ნებას აძლევს უმუშაოდ ცხოვრებას.

მაგრამ ეს კიდევ იმდენად არ მიიპყრობდა ჩვენს ყურადღებას, რომ საწინააღმდეგო მოვლენას არჰქონდეს ადგილი — რუსეთის დაწყნარება აღარ მოხდებოდა, იქ ყოველად უმსგავსი სახე მიიღო კლასობრივ ბრძოლის იდეოლოგიამ და რუსეთის გამოჩენილი მდიდრები, მოხელეები და ცნობილი შავრაზმელები საქართველოსაკენ მოდიან.

ჩვენ მოველოდით, რომ საქართველო განთავისუფლდებოდა რუსეთის რეაქციონური ელემენტებისაგან, მაგრამ ეხლა კი ჩვენი ქვეყანა სწორედ მრავლდება რეაქციონერებით. განა ელემენტარული არ არის დემოკრატისათვის, რომ გაჭირვების დროს თავის სამშობლოს მიაშუროს—რანაირი ანარქიაც არ უნდა იყოს გამეფებული? აშკარაა, რუსეთის დამტოვებელი რუსობა უმთავრესად რეაქციონური ელემენტებია და ჩვენს ქვეყანასაც — სამწუხაროდ — სწორედ ასეთ ელემენტებთან აქვს საქმე.

თუ რამდენად იზრდება რუსის რეაქციონერების ტალღა, იქიდანაც კარგად სჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში საშინლად განრავლდა ისეთი ორგანოები, რომელთა არსებობა საეჭვოა ინტელექტუალურ და ეკონომიურ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი, რუსული სრულუფლოვანი გიმნაზიები, ამიერ-კავკასიის საასულიერო სემინარია, რუსული საადილოები, რუსული მაღაზიები, რუსთა კავშირები — სრულიად სპეციფიური დაწესებულებებია, რომელთაც დღემდე არავინ იცნობდა, ხოლო რომელნიც თავის გარშემი იკრებენ და იწვევენ რუსის ელემენტებს, ვისაც რუსეთში ცხოვრება არ შეუძლიან — და არ შეუძლიან სწორედ რეაქციონერ ელემენტებს — ისინი ჩვენში მოდიან სწავლისა და სიმდიდრის შესაძენად, შემოაქვთ თავისებური რეაქციონერი ტალიტიკური სულისკვეთება, აძლიერებენ ჩვენში რეაქციას და ქმნიან მეტად ცუდ პირობებს საქართველოს რესპუბლიკისთვის.

ჩვენ მხარს უჭერდით და შემდეგშიაც დავეხმარებით ადგილობრივ რუსობის ძალებს შექმნან თავიანთ საჭიროებისათვის კულტურულ-ეკონომიური კავშირები ჩვენში, მაგრამ ამ კავშირებმა შეუძლებელია მიიღონ აგრესიული ხასიათი, ხარბად მიიღონ რუსეთიდან გამოქცეული რეაქციონერები, რომელთაც ჩვენში უფრო პოლიტიკური მიზნები ექნებათ, ვიდრე წმინდა კულტურული. თვით რუსეთისათვის, მის პოლიტიკურ ხაზებისათვის შეუძლებელია ჩვენმა მთავრობამ ნება მისცეს გამოქცეულებს აქ დააგროვონ თავიანთი ძალები და შემდეგ რუსეთის რევოლიუციას მოევლინონ მესაფლავეებად. არავითარი ინტერესი არ არის ჩვენთვის დავიმსახუროთ რეაქციის ბუდის სახელი და ამნაირად დავლუპოთ ჩვენი რევოლიუციაც.

ამ ჟამად ჩვენში სამისი ათასზე მეტი გამოქცეულია და ეს რიცხვი არათუ არ კლებულობს, მატულობს კიდეც. გამოქცეულთა უმეტესობა ცხოვრობს სპეკულიაციით, ამ მხრივ რეაქციას ეკონომიურ სარბიელს აძლევენ და უკიდურეს გაჭირვებაში აგდებენ ჩვენს სამშობლოს. შეიძლება ვსთქვათ, რომ საქართველო ამ ჟამად ეკონომიურადაც უკეთეს პირობებში იმყოფება, ვიდრე რუსეთი, მაგრამ ისეთი სპეკულიაცია, როგორც აქ არის — უმაგალითოა. და ისიც შეგვიძლიან დავადასტუროთ, რომ სპეკულიაციასაც უმთავრესად შემოპარული ხალხი აწარმოებს, რომელიც უპასპორტოდ ცხოვრობს, უბილეთოდ დადის რკინის გზაზე და ეს გზაც მათი საქონლით არის გავსებული,

დროა ბოლო მოეღოს ამ მეტად საშიშარ მოვლენას ჩვენი რესპუბლიკის და რევოლიუციის კეთილდღეობისათვის.

ჩვენი კონფერენცია.

ხვალ, სექტემბრის 15-ს გაიხსნება საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მესამე თავისუფალი კონფერენცია. როგორც მკითხველებმა უკვე იციან, გასარჩევია უმთავრესად ორი საკითხი. ჩვენი ტაქტიკისა და მიწისა. ამ კონფერანციამ ყურადღებით უნდა განიხილოს ორთავე საკითხი, რადგან დღეს ჩვენს სამშობლოს ისეთი გარდამავალ ხანაში უხდება ცხოვრება, როდესაც ყოველ თუნდა გარეგნად უმნიშვნელო შეცდომას — უდიდესი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

მეტად ცუდ პირობებში გვიხდება შეკრება. ყოველგან სამუშაო აუარებელია და ამ დროს მოწყვეტა საქმისაგან პროვინციელ ამხანაგებისა — ფრიად ძნელია. მაგრამ საკითხები, კონფერენციამ რომ უნდა გაარჩიოს, ვიმეორებთ, მნიშვნელოვანია და იმედია, ამხანაგები კონფერენციაზე იმსჯელებენ ისე, ვით შეჰფერის მომენტის სირთულეს და ჩვენი პარტიის მდგომარეობას.

...ფილისის ქალაქის გამგეობის მოწოდება ტფილისის მოქალაქეთადმი

მოქალაქენო! სადღაბი მასალის ნაკლებობის გამო სულ ახლო მომავალ...ი ...ლაქი შეიძლება ბნელეთში მოიცვას. საჭიროა მოქალაქეთა ენერგიული დახმარება, რომ ეს ვადა გავაგრძელოთ. ამისათვის ქალაქი სასწრაფო ზომებს ღებულობს: მთელი ქალაქი გაყოფილი იქნება უბნებად; თითოეულ უბანს ...ელექტროტექნიკოსი ეყოლება, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს ელექტრონის ენერგიის ...ოებას შემდეგი ნორმებით:

საცხოვრებელ ოთახში შეიძლება მხოლოდ ერთ ადგილას იყოს 1 ნათლ..., ...ც არა უმეტეს 25 სანთლიან ლამპისა.

კერძო ბინებში, მაღაზიებში, გასართობ დაწესებულებებში, სასტუმროებში, ...ბარიკმახეროსა და რესტორანებში აღკრძალულია ელექტრონის ენერგიის ხმარება სხვა საჭიროებისათვის, გარდა განათებისა.

მაღაზიებში, გასართობ დაწესებულებებში, რესტორანებში და სხვა თვითოეულ ათას ოთკუთხ საჟენზე უნდა ეხმაროს არა უმეტეს 4 სანთლისა.

აუდიტორიებში, სამკითხველოებში, წიგნთსაცავებში, სასწავლებლებში არა ...ეტეს 4 სანთლისა ოთხკუთხ საჟენზე მთელი ბინისა.

აღკრძალულია ვიტრინების და რეკლამების განათება და სხვა სასინაოლო ...ექტი

ბაღებში შეიძლება არა უმეტეს ერთი სანთლისა თვითოეულ ოთხკუთხ საჟენ...

ზემო აღნიშნულ ნორმას გადარჩენილი ლამპები დაკრული ან დაბეჭდილი ...ა მონტიორის მიერ, რომელსაც ქალაქის გამგეობის მოწმობა აქვნია თან. ...ოვებელ სინათლის ნორმებს საუბნო ელექტრო-ტექნიკოსები განსაზღვრავენ: ...ქალ. გამგეობის მოწმობა უნდა ჰქონდეთ თან. საუბნო ელექტრო-ტექნიკ...ებ... ...ულება აქვთ სრულიად მოუსპონ სინათლე იმ აბონენტებს, რომელნიც ...ად სარგებლობენ სინათლით.

...ემი აღნიშნულ ნორმების დამრღვევნი პასუხისგებ...ში იქნებიან მიცემული ...ულის ძალით და სინათლეც მოეპარება.

...ალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეებს მშვიდ..., შეხვდნენ ამ ზომებს, როგორ ...ერთად-ერთი მიზანია საზამთროდ ...ეკმაროს და ...ერილი თადარიგი ქუჩების ...ებლად.

...ალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს მოქ...ალაქეთ დახმარება აღმოუჩინონ ...ორ-ტექნიკურ კომისიებს მათ მუშაობაში. 1313

...ხელ...

...ევენიერეთა საზოგ...დოება „ქალეთი"-ს გამგეობა აცხადებს, რომ საბანგებო კრება საზოგ... „ქალეთი"-ს რომელიც აგვისტოს 3'-ს, არ შესდგა წევრთა საკმარ რიცხვის დაუსრ...ობით: მეორე კრება დანიშნული ...ა 3. თებერვალში ენკენისთვის 20 (ახალი დროით) ...ოს 7 საათზე. ეს კრება წეს...დებ...ს მე-40 მ. თანახმათ **ძალონიერია რამდენი წევ...ი უნდა დაესწროს.** კრების ს... ...ია: 1) საზოგადოების ახალი წესდება, 2) დამ...ებელი კომი...ის ინსტრუქ...ია, 3) **მუშა** მოსამსახურეთა ...ამაგირები, 4) ბინის საკ...თხი, 5) დამატებითი ...ირ..., 6) გამგეობის წევრების ორი კანდიდატის არჩევა ...ა 7) მიმდინარე საკითხებ... 504

...ტფილისის მთავრობის საშუალო სატელეფონო სასწავლებელი

(დიდი მთავრის ქ., № 70)

...ცხადებ..., რომ 1 გაეროვნებულ კლასში თხოვნების მიღება გაგრძელებულია ოქტომბრის 1-დის. 2004

...ირკი „მოდერნი"

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, შაბათს სექტემბრის 14-ს

გალა წარმოდგენა.

დღეს დუეტი ცნობილი მარიამ და ანტონ ზინკოვსკებისა. უკანასკნელი გასტროლი ალისა. მონაწილეობენ აგრეთვე: სლასტუშინსკი, ესმერალდა და სხვ.

ანონსი: მზადდება ბენეფისი სლასტუშინსკისა.

დასაწყისი 8 ნახ. ს. დასასრული 11 საათზე.

მთავარი ადმინისტრატორი **პ. ელიზაროვი** 2012

...ვაკლევ...

...ვ გაკვეთილებს ფრანგულ, გერმანულ და ...ლათინურ ენებისას. განათლება მიღებული მაქვს საზღვარ გარედ უმაღლეს სასწავლებელში. მოლაპარაკება შეიძლება დღის 9—11 ს. და საღამოს 6—8 ს. ბინა: კათოლიკეთა ქუჩა № 1 **პატრ ემა...ნუილ ვარდიძესთან.** 998

უკანასკნელი ცნობები

ცხინვალი.

გორის მაზრის სახალ...ო გვარდიის შტაბი დეპეშით იტყობინება: „გორის მაზრის სახ. გვარდია სექტემბრის ათს ჩამოვიდა ცხინვალში. სულ 100 კაცია და 2 ტყვიისმფრქვეველი აქვთ. მცხოვ...

...ბოლო დამეომავალი ფილისფი

პლატონი თავის მეორე ალკიბიადში სოკრატის პირით ამბობს: ქარიშხალში ...ეპოვებთ ჩვენს თავსაო. საქართველოც ქარიშხალში ჰპოვებს თავის თავს! ჩვენი ქვეყნის ნავი დასცურავს აბობოქრებულ ოკეანეს სიგრცეზე, ...ენავენი თავიანთი სუსტი, ჯერ გაუმაგრებელი მკლავით მიაკანებენ მას სამშვიდობოსკენ: ან მკლავი გაუმაგრდებ...თ და ჩვენს ქვეყანასაც გადაარჩენენ უბედურობას, ან ბრმა სტიქიონი ...ჰყლეპავს, მთანთქავს იმას, რასაც მსხვერპლად შეეწირა ჩვენ... ქვეყნის მრავალ თაობათა საუკეთესო ძალები. იქ, ხალხის გულის სიღრმეში, თუ ჯერ კიდევ კარგად არა აქვთ გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, ...მას კიდევ შეეფრიგდებით მრავალ წელია ბოხობამ, რუსეთის ბარბაროსულმა პოლიტიკამ შავი სუდარა გადააფარა ჩვენი ბუნებით ნიჭიერი ხალხის გონებას. გარშემო სიბნელე იყო, დღესაც, მიუხედავად ძირითადი ცვლილებისა, ძველებური სიბნელე დარჩა. საჭიროა დიდი და თავ-დადებული კულტურული ...უშაობა იმ ...ნაური ფსიხიკის განსაფანტად, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობამ აღხარა ჩვენი ხალხის სულსა და გულში. მოვალენი ვართ ხალხისა, რა მივეცით—რასა ვსთხოვთ?

მაგრამ ...გივე არ ...ითქმის საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელსაც ...ეონდა საშუალება გათვითცნობიერებისა, ...ქონდა უნარი ...ობ...ტის დაფასებისა, მაგრამ მაინც საშ...ობლო ...ვეყნის ...ედან...ი ...ა...საური ...�დ...ბა ...ა...ინა

...ღევანდელი ...ვ...ვ...ა...ობ... ...ე ასე წარ...ი...ვ...ა: ...ერის ...ხარესა ...ვ...ა ...ვ...ეყნის ...ა...ვ...ა...ა ...ა...ა...ა...ა ...ა...ა...ა...ა ...ა...ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზრებ... საადგილ-მამულო კომისიები აგრარულ რეფორმის განსახორციელებლად.

ბრძოლა სპეკულიაციასთან. გუშინ ერ. საბჭომ მიიღო კანონ-პროექტი სპეკულიაციასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც წარადგინა იუსტიციის მინისტრმა.

ლეჩხუმის მაზრაში. ლეჩხუმიდან იტყობინებიან, რომ ლეჩხუმის მაზრაში შეიპყრეს აჯანყებულთა მეთაურები კენჭაძე, ახვლედიანი და სხვანი. ამ დღეებში მათ ქუთაისში ჩამოიყვანენ.

ლეჩხუმში სვანებმა შეიპყრეს ლევან დადიშქელიანის მკვლელი.

შეპყრობა. სუფსაში შეიპყრეს და ოზურგეთის საპყრობილეში გაგზავნეს ს. მიქანაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციისათვის.

ბერლინში მიემგზავრება დღეს საღამოს ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის წარმომადგენელი ინჟ. არ. მეტრეველი საქონლის შესაძენად და სამრეწველო სხვა და სხვა ცნობების შესაგროვად. ვისაც რამ საქმე აქვს,—ნახვა შეიძლება ფრეილინის ქ. № 11. 1 საათ. 2 საათ.

ექ. ილ. ანდრონიკაშვილის გარ...ვალების გამო შეიძლეგი დეპეშა მი... : სილნაღის სოციალის-ფედერა...ბის ორგანიზაცია გლოვობს სა... ამხანაგის ილო ანდრონიკა... უდროოდ დაკარგვას, იზიარებს ...ლობლების მწუხარებას. გადა... ...ია ორმოცზე სიღნაღში გაიმარ... ...ქალაქო პანაშვიდი.

...ხეში საქმეთა მინისტრმა სა... საძინისტროს შუამდგომლო... ...ბმართა, დახმარება აღმოეჩინოს ...ში მყოფ გერმანიის ჯართა რწმუ...ელს სურსათისა და 2000 ფუთი ქე... შეძენაში დადგენილ ფასების მი...ში.

ფულის გატაცება. ადერბეიჯანის ...რობა საქართველოს გარეშე სამი...ტროს ატყობინებს, რომ მეშვიდე ...ულმანთა პოლკის ოფიცერმა კაპი...ტა გლუხოვმა, პრაპ. გრეველ და მო...ე გრეველ გაიტაცეს ამ პოლკის ფუ... 19,616 მანეთი და ყალბის დოკუ...ტებით ტფილისში გაიპარნენ. ადერ...ჯანის მთავრობა სთხოვს მინისტრს ...ლოს ზომები ამ ბოროტ-მოქმედთა ...ესაპყრობად.

სამხედრო სამინისტროსთან და ...რსდა ეგრედ წოდებული „წმ. გიორგის ...ამჭურველის საბჭო" ინფანტერიის გენერალ გაბაშვილის თავმჯდომარეობით.

საარტილერიო კურსები. ოფი...ერთათვის ახლად დაარსებულ საარ...ილერიო კურსების მთავარ გამგედ და...ნიშნა გენერალ-მაიორი ყაზბეგი.

ტფ. სამხედრო ჰოსპიტალის უფ...ოსი ექიმი სტატსკი-სოვეტნიკი ნოვიც...ა სამხედრო მინისტრის განკარგულე...ით თანამდებობიდან გადაყენებულ იქმ...ა და მის ადგილზე დაინიშნა ექიმი ...ოიკანაძე.

ქართული ლეგიონი. სამხედრო ...ინისტრის განკარგულებით გერმანიი...დან ახლად ჩამოსულ ქართული ლეგიო...ი და მისი ოფიცრები საქართველოს ...არმიის ნაწილში ჩაირიცხა.

შტატები საგარეო საქმეთა სამი...ნიტრომ მთავრობას დასამტკიცებლად ...აოუდგინა საქართველოს რადიო-ტე...ეგრაფის შტატები.

ქართული ლატარია. გამოვიდა და ...ება პირველი ქართული ლატარიის ...ლეტები, რომლის შემოსავალი გადა...ებულია უნივერსიტეტისა და თეატრი...თვის. ...ერხანად ბილეთები მხოლოდ ...ილისში გავრცელებული და იყიდე...ველა რედაქციებში და თვალსაჩი...დაწესებულებებში. აღსანიშნავია, ...საზოგადოება ძალიან გულ-მხურ...ე მიეგება ამ კეთილ საქმეს და ...ოველს სიამოვნებით ყიდულობს. ამ ...ე ხანში დირექცია გაემგზავრება ...ისა და სხვა პროვინციებში ბი...ების გასავრცელებლად.

აღბულახში გაიგზავნა შინ. სამინ. ...ებო ძოხელე ხ. ჩიკვაიძე საგამომ...ლო კომისიაში მონაწილეობის მი...ბსდ და ადგილობრივ ადმინისტრა...ციისათვის.

ბოროტმოქმედება. საგანგებო რაზ...ბერეული ქ. № 4. აღმოაჩინა ...ა არშინი მოპარული „ბიაბისა". ...ალეს სახლის პატრონი.

ქორწინება-განქორწინების კანონ...ი. კათალიკოსის საბჭომ მთავ...ი შეიტანა ახალი კანონ-პროექ...ორწინება-განქორწინების შესახებ.

კავკავი. სომეხთა სახალხო პარ...კომიტეტში მიღებული ცნობა, ...ავკავი ყაზახებმა აიღესო.

რუსთა ეროვნულმა საბჭომ გა...ნათლების სამინისტროს წინაშე შუა...მდგომლობა აღძრა, მიეცეს მას ნება რუსულ ენის გამოცდაზე დაუშვან ახალგაზდები მიხეილის რკინის გზის სასწავლებულში.

სახალხო ოპერა. თავისუფალ ხელოვანს ილ. აბაშიძეს უკვე მოლაპარაკება გაუმართავს ქართულ სახალხო ოპერის ორგანიზაციის მოსაწყობად. ილ. აბაშიძეს აზრად აქვს დაარსოს ქართული საოპერო საზოგადოება, რომელიც შეუდგება დაწერას ოპერისას, შემუშავებას და და თარგმანს. შექმნის ახალ რეპერტუარს თანდათანობით გაამდიდრებს ქართულ მუსიკალურ რეპერტუარს. აქამდე გამართული კონცერტები და ჰიმნის შეჯიბრებით ჩვენ რეპერტუარს მოემატა 10 ახალი სიმღერა-მარშები რომლებშიაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ნ. სულხანიშვილის ნიჭიერ თხუზულებებს. ეს ახალი საქმე ილ. აბაშიძისა მით არის საგულისხმო, რომ აქ ედება საძირკველი ქართულ ოპერას.

გლეხთა ყრილობა სექტემბრის 15-ს დუშეთში შესდგება გლეხთა ყრილობა. სასოფლო კომისიამ ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად გააგზავნა ერ. საბჭოს წევრები არსენიძე და ჩიხლაძე.

დატუსაღებულ ოფიცრების შესახებ. ცხინვალის უფროსობა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ოფიცრები, რომელნიც გაუპტვატში არიან დატუსაღებულნი და საქართველოს სამხედრო ჯარში არ მსახურობენ, გადაყვანილ იქმნენ სხვა ციხეებში.

მთავრობაში. გზათა სამინისტრო თხოულობს 100,000 მანეთს სამინისტროს კანცელარიის ხარჯების დასაფარავად.

უფასო ბილეთები. ტფილისის ქალაქის გამგეობამ სექტემბრის 7-ს სხდომაზე დაადგინა, სამინისტროს დაბალ სკოლებში სწავლა უფასოდ სწარმოებდეს.

გაცარცვა. სექტემბრის 10-ს საღამოს 10 საათზე, მიხეილის კრ. № 109 ვილაც ბოროტ-გამზრახველები დაეცნენ აბრამ ს. ოგანეზოვს და წაართვეს 64,000 მან.

დატუსაღება. სექტემბრის 11-ს, მიხეილის პროსპ. სასტუმრო „ნოე"-ში დატუსაღეს ვ. ნ. ახეეკი, რომელსაც ბოლშევიკთა გამოსვლაში მონაწილეობის მიღებას აბრალებენ.

— სექტემბრის 12-ს დაატუსაღეს და გააგზავნეს საგუბერნიო ციხეში № 1, ნ. ივ. ბულკინი, რომელსაც ბრალდება საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება.

სააქ. სოც.-ფედ. საოპოზ. პარტიაში

დღეს, საღამოს სხორად 8 ს. ფრაქციის ბინაზე დანიშნულია მთავარი კომიტეტის კრება. წევრებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ.

—

სტუდენტთა კრება, დღეს, სექტემბრის 14 საღამოს 6 საათზე დანიშნულია სოც.-ფედერალისტ სტუდენტთა კრება. წაიკითხავენ ორ მოხსენებას: „მომეხტსა და ტაქტიკაზე" ვადაჭორია და „აგრარულ საკითხზე"-მ. ანთელავა. შემდეგ მოხდება დელეგატების არჩევა კონფერენციაზე დასაწრეტლად. ვაცხადებთ ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ეს კრება უკანასკნელია და აუცილებლად საჭიროა ყველა ამხანაგების დასწრება, ოანა ჩვენ წარმომადგენელებიც დასწროს პარტიულ კონფერენციას.

† არჩილ საყვარელიძის ხსოვნას

ჩემო არჩილ!

ცრემლები მაღრჩობს, კალამს წვერი მიტყდება, როდესაც წარმოვიდგენ, რომ შენი სიკვდილის შესახებ უნდა დავწერო! ომში გამოწრთობილი მეომარი, მედგარი მებრძოლი, რა დროს და რა ულვთოდ დაიღუპე!.. უამრავ მტრის ყუბარებს გადაურჩი სამი წლის განმავლობაში და აქ კი, შენს საყვარელ სამშობლოს კალთებზე, შეუგნებელ მოძმის მუხთალმა ტყვიამ გაგიგმირა გული, რომელიც მისივე ტრფიალით და მისივე სიყვარულით ჰფეთქავდა..

რა სისასტიკეა, რა საშინელებაა ბედისა!

საყვარელო მეგობარო! ვერ ვასრულებ შენს თხოვნას. როცა ამბობდი: რამდენს სწერენ ამ დახოცილ აფიცრებზე, თუ მომკლან, თუ ღმერთი გწამთ, მაგისთანებს თავი დაანებეთო.

არა, ჩემო არჩილ! შენ, ჯან ღონით და სიცოცხლით აღსავსე, სამშობლოს მტრებმა მოგაშორეს ამ ქვეყანას და მე, მენმა მახლობელმა, შენმა ამხანაგმა ხმა არ ამოვიღო? არა, არა! მოგვეცი ნება, ძვირფასო ადამიანო, გიტიროთ, გიგლოვოთ და ვამცნოთ ყველას, თუ რა სპეტაკი ამხანაგი მოგვიკლეს გარეწრებმა. შენ ღირსი ხარ გლოვისა, იმ წმინდა ცრემლებისა, რომლებსაც ესე უხვად აფრქვევენ შენი მახლობელნი და ნაცნობნი შენს უდროოდ გაციებულ გვამთან..

მერე რა დროს გიღალატა ბედმა! როცა ამდენის ხნის ბრძოლით და ვაი-ვაგლახით მოღლილი აპირებდი დასვენებას და ოჯახურს ცხოვრებით დატკბობას, შენს საყვარელ სამშობლოში მშვიდობიანად თავისუფალ ცხოვრებით სულის დაწყნარებას.

და ხომ ასრულდა შენი სიტყვები: ეს უკანასკნელი ომია. და მერე სამოქალაქო ცხოვრებას უნდა დავუბრუნდეო. რა წინასწარ მეტყველური აღმოჩნდა ეს სიტყვები: შენ მართლადაც უკანასკნელად წახვედი ბრძოლის ველზე..

მშვიდობით ჩემო საყვარელო არჩილ. მე შენს ამხანაგს და მეგობარს, შენი მზრუნველობის საგანს, შენგან დავალებულს, შენგან დაობლებულს—შემიძლიან განა ენით გამოვსთქვა, რასაცა ვგრძნობ? მშვიდობით, მშვიდობით ჩემო გულითადო მეგობარო! საუკუნოდ იქნება შენი ხსოვნა შენო დაობლებულ და შენი უღვთო სიკვდილით გულმოკლულ მეგობარ-ამხანაგებში.

მშვიდობით, მშვიდობით!..

ჯ. რ.

კაპიტანი
არჩილ საყვარელიძე
სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში მოკლული.

* * *

(ამხ. არჩილ საყვარელიძის ხსოვნას).

გმირთა საფლავს დღესაც ერთი
...ება საფლავი!
ღაწვს შეაშრა ცრემლის ძივი
მწარე ნაღველ ნარევი,
გულის სიღრმეს დაეუფლა
მტანჯავ გრძნობათ მორევი!
და ცას ისევ გადაკრა
ნისლი სქელი და შავი!

—

მაგრამ ნულარ მივეცემით
დღეს გლოვას და გოდებას
გმირს შევფიცოთ, რომ მანამდე
ჩვენ არ დავყრით ფარ-ხმალსა,
სანამდე გონს არ მოვიყვანთ
ხალხს არეულს და მთვრალსა
და სანამ ფრთას არ შევასხამთ
ძმობა-ერთობის მცნებას!..

ლადო გეგეჭკორი

სამეგრელოსკენ

(გაგრძელება *)

აგვისტოს 31.

სამხედრო შტაბი ახალსენაკშია მოთავსებული. ჯარები აქედან ჯერ არ გასულა, ოადგანაც შტაბში ამ დროს ფართო სამხედრო გეგმას ადგენენ გენერალ ოოსებ გედევანიშვილის ხელმძღვანელობით.

სენაკი ციებ-ცხელებიანი ადგილია და ბევრი ჯარისკაციც ავად ხდება. ამიტომ შტაბი ჩქარობს სენაკიდან მათ გაყვანას.

მთელი სენაკი სიხარულს არის მიცემული ი. გედევანიშვილის პარტიზანულ რაზმის ჩამოსვლის გამო. ყველას გაგონილი ჰქონია ამ რაზმის შეგნებული და ძლევამოსილი მსვლელობა გარეშე თუ შინაურ მტრებთან ბრძოლის დროს. ხალხი გრძნობს, რომ ახლა კი ძოეღება ბოლო ანარქიას სამეგრელოში. ამას აღარც მალავენ.

თუ მშვიდობიან ხალხში ასეთი სიხარული გამოიწვია გენ. გედევანიშვილის ჩამოსვლამ, სამაგიეროდ თავზარიდასცა ყაჩაღთა ბრბოს, რომელთაც თავის უკანასკნელ დღეების მოახლოვება იგრძნეს. როგორც დანამდვილებითი ცნობები მოვიდა, მათ დაიწყეს უკანასკნელ ძალ-ღონის მოკრება და სურთ ბედი სცადონ ლეჩხუმიდან გადმოსულ ბოლშევიკურ ბრბოებთან ერთად.

აგრედვე მოდის ცნობა, რომ დღეს სოფელ აბასთუმანსა და ზენზე ჩვენს ჰაეროპლანს გადაუფრენია. ზენი ბალშევიკების ბუდეა. მათ ბევრი ადარ უფიქრიათ და ჰაეროპლანისთვის სროლა დაუწყვიათ, რასაკვირველია, ამაოდ. ჰაეროპლანს სამაგიეროდ რამდენიმე ყუმბარა ჩამოუგდია, რასაც თავზარი დაეცა ბრბოებისთვის.

წინად, როდესაც აქეთ ჰაეროპლანი გადმოიფრენდა ხოლმე, თურმე ბალშევიკები ხალხს არწმუნებდნენ, ეს ჩვენი ჰაეროპლანია, ასი ფუთი სიმინდი მივეცით მაგაშიო. ახლა კი, როდესაც ჰაეროპლანმა ყუმბარები გადმოისროლა, ხალხი ეჭვში შევიდა და ამბობს, ბალშევიკებმა მოგვატყუესო. ხალხს უკვე აღარ სჯერა, რომ ტფილის-ქუთაისი ბალშევიკების ხელშია და აღარ იცის, როგორ მოიშოროს ეს ახალი ჯერის არამკითხე ბატონები.

როგორც წინა წერილში ვწერდით, ყაჩაღთა ბრბოს მეთაური არის სანდრო გვასალია, რომელიც თავის თავს უწოდებს, „ბალშევიკის ჯარის მთავარ-სარდალს". იგი სოფ. ხორშიდან არის, მაგრამ ბოლო დროს ზენში (ზუგდიდის მაზრა) სცხოვრობს. წინად იგი ყაჩაღი იყო და ქონებაც შეიძინა. ერთხანს შიანება თავი ყაჩაღობას და ამ ომიანობის დროს ტრაპეზუნტში წავიდა, სადაც აიღო კარგი საიჯარო საქმეები. აქაც ბლომად შეიძინა ფული და ოდესღაც ღარიბი გვასალია ძალზე მდიდარ კაცად დაბრუნდა სახლში, მაგრამ ამბობენ, რიონი ნარიონალს არ დაჰკარგავს და ნიორი ნანიორალსო. გვასალიამაც ვერ დასთმო თავისი ძველი გზა. დროც თითქოს კარგი იყო და იგიც გამოეხვია ბალშევიკების ქუჩაში და დაიწყო ნავარდობა სამეგრელოში. მას აცვია ბოლშევიკის ფორმა და თავის ხულიგან ამხანაგებს ჩინ-ორდენებს ურიგებს „დამსახურების" კვალობაზე.

თუ გვასალიას „ძლევამოსილი" რაზმი დარწმუნებულია, რომ ბურთი და მოედანი მას დარჩება, სამაგიეროდ თვით სანდრო გვასალია კარგად გრძნობს, რომ მოახლოვდა ჟამი, როდესაც პასუხი უნდა აგოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის და მის კანონიერ მთავრობის სამსჯავროს წინაშე. გრძნობს ამას და სცდილობს, როგორმე თავი დაახწიოს ხიფათს.

იგი დღეს გენერალ გედევანიშვილის შტაბში კაცებს გზავნის შუამავლებად. იარაღს დავყრი, მეოლოდ არ დამსაჯოთ და არც გამასამართლოთო. რასაკვირველია, მისი ნდობა ძნელია. ამ ორის დღის წინადაც ბალშევიკების ბრბოებს ასევე შეუთ ლიათ აქეთ აქეთ მომქმედ ჩაჩავას რაზმისთვის. როდესაც ჩაჩავას დელეგატები გაუგზავნია, გზახე ძათთვის თოფები უსროლნიათ.

გენ. გედევანიშვილის რაზმის ჩამოსვლას დიდი სიხარული გამოუწვევია ზუგდიდშიაც, რომელსაც მოშორებიან გარშემორტყმული ბრბოები ბალშევიკებისა. მათი სიხარული ისევ ჩქარა ნოწყალულა პროვოკაციულის ხმებით. ზუგდიდში გაუვრცელებიათ ხმა, რომ გედევანიშვილის რაზმი ისევ ტფილისს გაიწვიესო. ხმები ისევ დაეინებითი ყოფილა რომ ხალხი ძელიან შეწუხებულა და რამდენიმე კაცი აურჩევიათ რაზმის გაწვევის მიზეზის გასაგებად.

საღამოს 10 საათზე სენაკში მართლაც ჩამოდიან არჩეულნი პირნი. შტაბში ამ დროს გენ. გედევანიშვილი და ჩვეულებრივ მეყაყითად მუშაობს დილას აქეთ. ზუგდიდელები აქ იგებენ გავრცელებულ ხმების უსაფუძვლოობას და მესაფერ დეპეშას გზავნიან ზუგდიდს.

ამის მყმდეგ შტაბში მუშაობა გრძელდება ნაშუალამევის ორ საათამდე. გენერალი გედევანიშვილი აფიცერს აცხობს თავის გეგმას და მესაფეო გაკარგულებას აძლევს.

ხვალ დილით სენაკიდან უნდა გავიდეს პარტიზანულ რაზმის ერთი ნაწილი რაზმი სულ სამ ნაწილად არის დაყოფილი და სხვა და სხვა ადგილს იგზავნებიან.

სექტემბრის 1.

ენახულობ აქეთ-იქიდან ჩამოსულ ხალხს. ვიგებ მათგან საქმის გარემოებას.

ერთი რამ ცალკედ ...ოფლის ადმინისტრაციის ...ბისობა. ...ბშირად კომისართა და ...ბ. შორის შეხვედრ... ...ევის ხალხს. ...ოფლის ...ეს უცქერიდა, როგორც გარეშე პირი. წინა წერილშიც ვწერდი, რომ ხალხის დაღლა-პველი აგიტაცია სამეგრელოში დაწყებულა არა უგვიანეს მარტისა ამ დროს თურმე სოფლად დიაღრეებოდნენ საშა გეგეჭკორი და სხვა სავეტო პირნი და მთავრობის წინააღმდეგ ქადაგობდნენ. მაგრამ ბოლ ერთს ადმინისტრატორს სოფლისას არ მოსვლია აზრად, რომ ეს ამბავი იმ კანონიერ მთავრობასთვის ეცნობებინა, ...ომლისაგანაც იგენი იყენენ ამ ადგილებზე დაყენებულნი და ...ომლისაგანაც ...ეგბდნენ ...ალაგირს. ზოგან ეს ადმინისტრატორები ბალშევიკებს გულით და სულით ...ესახურებოდნენ. ხშირია ისეთი მაგალითიც, რომ მთავრობის მიერ დაყენებული კომისრები ამ თანამდებობის ასრულებდნენ ბალშევიკთა ბრბოების ...ეფობის დროსაც.

ბრბოები იმდენად შინაურ და სანდო კაცებად სთვლიდნენ ამ კომისრებს, რომ საჭიროდ არ სცხობდნენ მათ გადაყენებას.

რასაკვირველია, მომეტებული ნაწილ სოფლის ადმინისტრაციისა სიფრთხილის ...ამო მაინც გადაუყენებიათ ბრბოებს და თავიანთი კაცები დაუყენებიათ მათ ...ადგილზე.

დღეს ცხობა მოდის სენაკში, რომ ბალშევიკებს სოფლებში სრული მობილიზაცია გამოუცხადებიათ, ე. ი. ...ოუკითხავთ ქუდზე კაცი. ამ მოწოდებას ხალხში აღელვება გამოუწვევია. თავის ნებით მათ „რაზმში" ...ავენ მიდის ზოგან ბალშევიკები შეჭრილან სოფელში და ახალგაზრდები ძალით წაუყვანიათ.

შუადღისას გენ. გედევანიშვილი ცხენით მიდის ზოგიერთ მნიშვნელოვან ადგილებს დასათვალიერებლად და შუადამისას ბრუნდება.

ღამით სენაკს ჩამოდის სახალხო გვარდია გენერალ კონიაშვილისა და ვალიკო. ჯუღელის მეთაურობით.

სექტემბრის 2-ს.

გათენდა კიდეც და გავიგეთ, რომ ბალშევიკთა ბრბოს სენაკ... ...ახლობლ... ...ადგილიდა ...ვიოსტეა ...კაცი ძალით წაუყვანია „რაზმში" ...ასა...ერად.

შუადღისას გენ. გედევანიშვილი და გვარდიის უფროსნი გენ. კონიაშვილი და ვ. ჯუღელი მარტვილს მიემგზავრებიან, „სადაც წინა დღით გაემგზავრა პარტიზანულ პოლკის პირველი ნაწილი. მეც მათ მივსდევ. მარტვილი მდებარეობს ქუთაისის მაზრის სახლვართან სენაკის მაზრაში. გზაზე გავიგეთ, რომ ნაქალაქევში ღამით ვილაც უცნობთ ქალი მოუკლავთ. ეს უცნობნი მისულან გამაცვის გაბზრახვით ალექსანდრე ჯოლიას სახლში, ორი ქალი დაუწყვეტიათ ცალკე და ძარცვას შესდგომიან, მაგრამ ამ დროს გამოუხედნია მესამე ქალს, ჯოლიას ცოლს, რომელიც მოუკლავთ. მოროტგანმზრახველნი გაქცეულან ისე, რომ ვერაფერი წაუღიათ, გარდა ამ უდანაშაულო ქალის სიცოცხლისა.

მარტვილში მართლაც დაგვხვდნენ პარტიზანები, რომელნიც აქამდე სრულიად უბრძოლველად და დაუბრკოლებლად მისულან.

ამ სოფელში ბალშევიკური მოძრაობა მაინცა და მაინც არა ყოფილა: ამიტომ აღარას ვწერ ამ სოფელზე. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ აქეთ სიძიბლის ...ისაკალი ერთობ კარგია წელს ისევე, როგორც საერთოდ მთელს სამეგრელოში. ...ბ...ნიერ ტარო დასხმული სიმინდი ძალიან გათაავებულა და ისე ძალუა ასულა, რომ ცხენიანი კაცი თავისუფლად დაიმალება შიგა. ეს გარემოება ძალიან უნლის ხელს სამხედრო მოქმედებას, რადგანაც ყაჩაღები ხშირად აფარებენ თავს ამ სიმინდსა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე ხშირი ტყეა და ...ამის დარწმუნდებითო, თუ რა ძნელია ყაჩაღთა ბრბოებთან ბრძოლა, თუ ამ ბრძოლაში ჯარს ხელს არ შეუწყობს ხალხი.

რ. ბ—ლი.

სიმარსილ საბჭოს აბალბოს ...ასა...ხა.

(დასასრული)

როდესაც ჩვენი რაზმი ...ადგა, ...ოლკის ...ბ... ...ბ... ...ნება დაერ... ...ოლკის ...ბ... ...ბ... ...ბ...

...ეენ აქ დარჩითო; ბეგრმა ოფიცერმა ...ოასწრო ამას და ...ბზმს შეუერთდა, ...ასთან ერთად მოქმედობდა. გამარჯვე...ის შემდეგ მცხოვრებლებმა გაიგეს ...აწვრილებით, ვინ იყო იქით გადასუ...ი და ლაპარაკობდნენ, რომ ჯერ იმ ...ფიცრებს დავსჭრით ყელებს თუ ხელ...ი ჩაგვივარდნენ და მერე ყველა დანარ...ენებს. დაპატიმრებით არავინ დაუპატიმ...ებიათ გარდა ერთი პოლუნიკისა, რო...ელიც აღბულაღში მოიყვანეს; ფულის ...აშუალებით მან გაპარვა მოასწრო.

იმ საღამოს აგეთი მდგომარეობა იყო ...ებულაღში: მთელი აღბულახი გაივსო ...ეიარაღებული რუსებით და სომხებით; ...ახლოვებით იყო 3—4 ათასი კაცი; ...ღამოს მოვიდნენ ოსები, 200 ცხენო...ანი და დანარჩენი ქვეითი; ამ სტრი...ონების დამწერმა თავის თვალით ნახა, ...ომ ოსებს ვინტოვკების გარდა თითოს ...ორ-ორი ხელის გრანატები ჰქონდათ. ...ათ დაიჭირეს პოზიცია 5—6 ვერსის ...ინ აღბულაღიდან და მთელი აღბულა...ი გარშემორტყმული იყო. ტფილისის ...ზე ამყარეს ხიდი, რადგან ჯაფშნოსან ...ტომობილის ეშინოდათ. ოსები გაიძახ...ნენ: ქართველებმა ცხინვალში ჩვენი ...ები ამოხოცეს და აქ ჩვენ გადუხდით ...ათ სამაგიეროსო. იმ ღამესვე გამოაც...ეს მობილიზაცია და 14 წლიდან ...აწყებული თოფ ქვეშ დააყენეს ყველა, ...ისაც იარაღის ტარება შეეძლო; წინა...ამდეგ შეეთხეევაში დახვრეტას ემუქ...ებოდნენ.

სოფლის საბართველოში ურიგებდნენ ...ინტოვკებს ყველას, ვისაც არა ჰქონ...ათ და ხსნიდნენ ტყვია-წამლის ყუთებს; ...ტყობოდა, სადღაც საწყობი ჰქონდათ ...ყვია-წამლისა.

მეორე დღეს დადეთიდან და სამშვილ...ოდან მოვიდა აუარებელი შეიარაღებუ...ი ხალხი მწყობრად და სიმღერით. ...ბგრებდნენ პოზიციებს, სწმენდნენ ...ხრიალებს, ელოდნენ ახალი რაზის და...ყედრას. დანამდვილებით ვიტყვი, რომ ...ელმძღვანელობდნენ 118 პოლკის და ...თითხმეტე პოლკის რუსი ოფიცრები ...ამდენიმე პირის გამოკლებით, რომელ...აც უარი განეცხადებინათ. ამ სტრიქო...ნის დამწერმა საკუთარი თვალითა ნა...ა პრაპორშჩიკი კოზლოსკი დილის ხუთ ...ათზე, როდესაც შეიარაღებული იგი ...უნდებოდა ეგრედ წოდებული „ზელი...ი მონასტრებიდან", სადაც მათ პო...ია ჰქონდათ გამაგრებული. ეს ის ...ფიცერია, რომლების შესახებაც ამ ...ტრიქონების დამწერი პრესის საშუალე...ით აფრთხილებდა საგუბერნიო ადმი...ისტრაციას და ურჩევდა მას მათი აღ...ლახიდან გაძევებას, მაგრამ ალბად ...ინ პროვოკატორი ვეგონეთ და მად...ობა ღმერთს მე თვითონ არ დამიჭი...ეს და არ გადამასახლეს. აგეთი იყო ...ადება ახალი რაზმის დასახვედრად.

როგორი იყო ოფიცრების მდგომარე...ობა? ყოველ დღეს ამბობდნენ, ამაღამ ...ველა ოფიცრებს ამოვხოცავთო: ყვე...ანი სარდაფებში იყვნენ ჩახიზნულნი ...გზაში გავლა არ შეიძლებოდა.

ბევრი გაიპარა ტყე-ტყე; ვისაც ცოლ...ილი ჰყავდა და ან რაიმე პასუხისმგე...ელი ადგილი ეკავა პოლკში, ისინი ვერ ...ციდნენ; პირველნი უცოლშვილოდ, მე...ორენი ბრძანების უქონლობის გამო. ბო...ომდე დავრჩით 5—6 ოფიცერი რო...ელთა მდგომარეობა აუტანელი შეიქ...ა.

ამ სტრიქონების დამწერს გრთხელ ...ჩაში აგეთი ქათინაურები შესთავაზეს: ...ტა სვოლოჩ ტოეე იმ პრინადლეჟიტ ...ევო ნუენო სეგოდნია ნოჩუ ზაკალო...ა", მეორემ დაუმატა: „სეგოდნია ნო...ჩუ ვსეხ პრედსავიტელი კუკურუზნოი ...ესპუბლიკი ატპრავიმ ნატოტ სვეტო". ...ენ დაგვციხოდნენ, გვაფურთხებდნენ, ...ემუქრებოდნენ. ერთ სადამოს, ერთი ...ქიმის მოსამსახურეებს უთხრეს: „ენი ...ამი რაზმა შეუერთია, ამაღამ მის ...ეხობას ამოვეცლეტავთ და თქვენ ...ასლში წადით ღამითო. ადგილი წარ...ოსადგენია, თუ როგორი მდგომარეო...ა იყო, მაგრამ ღვთის მადლით არასა...ერი მოუხდენიათ; არ ვიცი, რა მიზე...ეთ, მაგრამ ამან კი დანამდვილებით ...ეპარაკობდნენ, რომ თუ კიდევ რაზმი ...ოვიდა და ბრძოლა შეიქმნა, მაშინ ყვე...ას დაგხოცავთ; ეს მოხდებოდა უსა...ეოდ.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა საშვი...ობო დელეგაცია რუსების და სომხე...ბისა. დაიბარეს წარმომადგენლები და ...ეკითხა იქ მყოფი ქართველი ოფიცრები ...ათ შენობაში დაკითხეს ყველას საქმის ...არემოება და ისე გამოუშვანეს, რომ ...ავითარი წინააღმდეგობა არავის არ ...აუწევია მთავრობის რაზმისთვის; მხო...ოლო 6 ხოლოვანმა წაართვა მას ხარ...ბაზანი და შოხდა „პროსტოე ნედოროზუმენიე"!... ამ კრებაზე დაკითხეს ჩვენ ოფიცრებსაც და გამოიძიეს: მათი აზრით იყო რაიმე ორგანიზაციული გამოსვლა თუ არა, მაყენეს მათ შეურაცყოფა თუ არა, ემორჩილებიან მცხოვრებლები მთავრობას თუ არა?—პასუხი რასაკვირველია უარყოფითი იყო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ღამეს ყველანი სიცოცხლეს გამოვთხოვებოდნენ. საღამოს შინდორში გამართეს კრება და შეიმუშავეს ის ოქმი, რომელიც გაზეთებში იყო გამოცხადებული. იქ ნათქვამია რომ ამა და ამ სოფლების წარმომადგენლებმა ესე და ეს გადაწყვიტესო. ჯამტკიცებ: კრებას დაესწრო 200 კაცი, სულ მოხუცებულები და ქალები; არ ყოფილან ის ახალგაზდები, რომლებიც შეიარაღებულნი პოზიციაზე იდგნენ; კრების გადაწყვეტილება მათთვის სულ ერთია და იგინი ნებათ არავის დამორჩილდებიან; დაინსომეთ ეს.

დელეგაცია ხალხს შეეპირდა: თუ იარაღს ჩააბარებთ მეტს არაფერს მოგთხოვენ და ყველაფერს გაპატიებენო. ცოტა მშვიდობიანობა ჩამოვარდა; ჩვენც ვისარგებლეთ ამითი, ავიღეთ „პროპუსკი" კომისარ ბატურინისგან (ეგრედ წოდებული პოსელენიეს კომისარია) და შეორე დღეს გამოვეთხოვეთ ყველა დარჩენილი ოფიცრები აღბულახს. დღეს რა მდგომარეობაა დაწვრილებით აღბულახში არ ვიცი, მხოლოდ ვიცი რომ ჩვენი ჯარი შესულა იქ და ამბობენ მცხოვრებლები დამორჩილდნენ უომრადო. ამბობენ 600 ვინტოვკა ჩააბარესო.

ერთს ვიტყვი: აღბულახის მეამბოხეებს აქვს დაახლოვებით 8—10 ათასი ვინტოვკა, ოსებს აქვსთ გრანატები და როდესაც ამბობენ, 600 ვინტოვკა ჩააბარესო ეს სასაცილოა. ჩააბარებდნენ ლებელის სისტემის ვინტოვკებს, რომლის პატრონები მათ არა აქვს და გაფუჭებულ რუსულ ვინტოვკებს, თუ ამითი დაკმაყოფილდებენ ისე, როგორც დუშეთში და ბორჩალოში მაშინ თამამად ვიტყვი: ძალე უარესი ამბები მოხდება აღბულახში; როგორც გერძანელები იქიდან წამოვლენ, ჩვენ ჯარს ისინი დაესხმიან.

მათ დუშეთის და სხვა მაგალითები თვალწინა აქვთ: იციან რომ ჩვენში 800 ვინტოვკით დაკმაყოფილდებიან და არავის დასჯიან; მეტი მათ არაფერი უნდათ, გვყოფდა თავზე ხელის სმა, აშიკობა და საბდიეტალობა. თუ გვსურს მაგრად ფეხი მოიკიდოს მთავრობამ, საჭიროა ულაზობელი სისასტიკე იმ ხალხისადმი, რომელიც ეგრე დაგკიხის და ბავშვებათ გვთვლის. ხუ დაკორჩებით ბოლოოდგ ბავშვებათ და დავასრულოთ დაწყებული საქმე, მერე გვიან იქნება.

ბ.ბ. შეექვსე პოლკის აფიცრებს უყვართ საშშობლო, ეძსაზუოებიან მას და სიცოცხლეს შეესწირავენ მას; ეს ოფიცრები თავის ზურგით ეზიდებოდნენ ტოტრებს ერთი საწყობიდან მეორეში, რომ უფრო მობერებულ ალაგას შეენახათ სახიზნო კოხები და ბრბოს არ გაეტაკებინა; ეს ოფიცრები შუა ღამისას ძინდორში უდარაჯებდნენ საწყობს თოფებით ხელში მაზრ, როდესაც 500—600 ხულიგანი იარაღით გარს შეეორტყა და სიცოცხლეს არ ზოგავდნენ ქონების დაცვისათვის, ეს აფიცრები შეურაცყოფილნი იყვნენ, დაქოლილნი, ლაფგადასმულნი, შეგინებულნი ბრბოსაგან, მხოლოდ მისთვის, რომ ერთგულ დარაჯად უდგეხ საშშობლოს ინტერესებს; ეს აფიცრები სიკვდილს გულგოილად შესცქეროდნენ იმ დროს, როდესაც ხსნა არსაიდან იყო და დაუბტიკიცეთ მათ, რომ უპატრონოდ იგინი არ დარჩენილან; მათი სისხლი საშშობლოს ეჭირვება და ნუ გააწყალებთ იმ სისხლს, მათი მისწრაფება საშშობლოს კეთილდღეობას ენაცვლება და ნუ ჩაჰკლავთ ამ მისწრაფებას რალაც უშნო ლიობიერების გამო! ნუ ჩაჰკლავთ მათში ხალისს სამსახურისას და აჩვენეთ მათ, რომ მათი შეურაცყოფელნი დაისჯებიან, არავის ეპატიება ხულიგნობა ..

ამყარეთ ყველას იარაღი, დახვრიტეთ ყველა დამნაშავე, დაიბრუნეთ მილიონებად ღირებული ქონება და საშვალება მოგვეცით ერთგული სამსახურისა!.. ჩვენ დავიხოცებით, კიდევ მეტ დაცინვას ავიტანთ საშშობლოს გულისთვის, ამას ჩვენ შევეჩვიეთ ორი წლის განმავლობაში, მაგრამ ნუ ინებებთ, რომ ყოველივე ამან უნაყოფოთ ჩაიაროს და საშშობლოს არ გამოადგეს! ისმინეთ ხმა ჩემი, ვინაიდან კარგად ვიცნობ აღბულახს და დაწვრილებით შევისწავლე მცხოვრებლების ფსიქოლოგია!!

გენ. ხრვითოვი.

ახალციხის ქართველთა ეროვნულ საბჭოს შემოსავალ-გასავლის ანგარიში

როგორც სხვა დაწესებულებებს, აგრედვე ახალციხის ქართველთა ეროვნულ საბჭოსას მოელოდა და ჰქონდა ხარჯი, რომლის დასაფარავადაც საბჭომ თავის ერთ-ერთ სხდომაზე დაადგინა: 1) ახალციხეში ქართველმა მცხოვრებლებმა უეჭველად უნდა ვადაიხადონ საბჭოს სასარგებლოდ ნივთიერ მდგომარეობისადა გვარად თვეში 1 მანეთიდან 15 მანეთამდე (რაბათელებს საბჭომ გააწერა 1 მანეთიდან 5 მანეთამდე), 2) შემოწირულების სახით შეიკრიბოს ფული ადგილობრივ ქართველთა შორის და 3) არეულობის დროს ახალციხიდან გამსვლელ ქართველს, უკეთ რომ ვსთქვათ, რომელიც თავს აღწევს საერთო უბედურებას გადახდეს საბჭოს სასარგებლოდ ფული დროებისადაგვარად.

საბჭოს ხაზინადრად არჩეული იყო ლევან ფირალიშვილი, რომელმაც, ჩქარა დაალწია თავი ახალციხეს და გადასახლდა ტფილისში.

ხაზინადრობა, როგორც საბჭოს საქმის მწარმოებელს და მდივანს, შომანდეს მე.

ფულის შეკრებაში და დახარჯვაშიც საბჭოს 4—5 წევრიც იღებდა მონაწილეობას და მე მხოლოდ ანგარიშს ვიბრიდი მათგან.

ძალიან ცუდ პირობებში სწარმოვდა ფულის შეკრება. ვინც 1 მანეთს იხდიდა თვეში, ის ისი მანეთისას გვისაყვედურებდა: რაში ხარჯავთ ამდენ ფულსა და სხვაო.

ასეთ საყვედურს პირველსნიშით ყურადღებას არ ვაქცევდით, რადგან ვიცოდით, რომ ვემსახურებოდით წმინდა საქმეს და ვიცოდით ისიც, რომ გვისაყვედურებდა ის შეუგნებელი ნაწილი, რომელსაც საშშობლოს და ჩვენი მომავალი თაობის კეთილდღეობას ჩალადაც არ მიაჩნდა. მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გავხდი უარი განმეცხადებინა ფულის შეკრებაზე და ხაზინადრობაზე, მაგრამ ჩემს გახცხადებას საბჭომ ყურადღებაც კი არ მიაქცია და აძხაირად საბჭოს გაუქმებამდე ხაზინადრად ისევ მე დავრჩი.

კოოპერატივ „მესხეთის" გამგეობამ 1917 წლის მოგებიდან საბჭოს სასარგებლოდ გადასდო 2,184 მან. 47 კაპ. ამ თანხიდან საბჭომ მიიღო ნაწილ-ნაწილად 1,188 მან. 05 კაპ. პირველი ნაწილი 500 მანეთის მიღება საბჭომ მიმანდო მე და ორ თქმა უნდა ფულიც მივიღე. ამ მოვლენას კოოპერატივის ხელმძღვანელობის რევიზიის დროს, თურმე ძალიან აუღელვებია და გაუბრაზებია, როგორც „მესხეთის" გამგეობის ერთი წევრი, აგრედვე სარევიზიო კომისიის ერთი წევრთაგანიც, რომელთაც უთქვამთ: რა უფლება ჰქონდა ზაქარია დიდიმაძეშვილს 500 მანეთის მიღებისა და ვის გადასცა მან ეს ფული.

სწორედ საკვირველია, ვის უკვირდნენ რევიზიის: კოოპერატივს თუ საბჭოს? მაგრამ, მაგრამ ის არის, რომ გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრები ჩემდამი პირადმა ინტერესებმა თუ აალაპარაკეს. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, ჯერ ძათ უნდა ვნახათ რწმუნების ქაღალდი, რომლის ძალითაც კოოპერატივისგან მივიღე საბჭოსთვის 500 მანეთი და მერე აღეძრათ საკითხი: მქონდა უფლება 500 მანეთის მიღებისა თუ არა.

ნათქვამია: მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო და ალბად გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრები, როგორც ძველი რეჟიმის ადამიანები, ჩვეულ არიან მუქთა-ხორობას, ასეთივე ვგონივართ მე. მაგრამ საქმე ასე არ არის და არ შეიძლება ითქვას ის, რის დამტკიცებაც შეუძლებელია.

ოსმალეთის შემოსვლამ ახალციხეში, საბჭოს ხელი შეუშალა მოეწყვია საზოგადო კრება და ჩაებარებინა შემოსავალ-გასავალის ანგარიში და ვინაიდან მე არ ძალმიძს სუყველას ცალკე ჩავაბარო ანგარიში, ამიტომ საბჭოს შემოსავალ-გასავალის ანგარიშს ვაცხადებ გაზეთის საშუალებით, და იმედია ზედმეტ ლაპარაკს ამით მოეღება ბოლო.

შემოსავალი:

1) კვიტანციების წიგნაკით №№ 1/74	1058 მან.	კაპ.
„ „ „ 101/214	1166 „	—
„ „ „ 301/822	206 „	—
„ „ „ 901	100 „	—
2) ებრაელებისან თებერვლის გადასახადი . .	300 „	—
3) კოოპერატივ „მესხეთისაგან"	1183 „	50
4) სესხად აღებული მ. დ. კვალიაშვილისაგან . .	200 „	—
5) შემოწირულება მ. დ. კვალიაშვილისგან . .	200 „	—
„ ალ. აზნაურიშვილისგან . . .	100 „	—
„ სტ. გასპარიშვილისაგან . . .	25 „	—
სულ	4538 „	05

გასავალი:

1) საკანცელარიო ხარჯები	100 მ.	15 კ
2) გასათბობი და სანათი.	207 „	30
3) მოულოდნელი ხარჯები*).	1001 „	20
4) დელეგატების გაგზავნა სხვადასხვა ადგილს . .	1120 „	30
5) დაუბრუნდა მ. დ. კვალიაშვილს მისგან ნასესხი	200 „	—
6) ჯამაგირი: საქმისწარმოებელს 5 თვისა . .	1000 „	—
„ ბიუროში მოსამსახურე ბიჭს . .	225 „	—
„ რაბათის საყარაულოში მოსამსახურეს	369 „	20
7) ბინის ქირა: ბიუროსი.	210 „	—
„ რაბათის საყარაულოსი და დამტვრეულ ბინების . .	90 „	—
8) ტელეგრამები: კვიტანციები №№ 75,100,171 226 და 274	29 „	40
სულ	4553 „	05

მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ გასავალი სჭარბობს შემოსავალს 15 მანეთით, ასე რომ ვისაც ეჭვი ეგონოდა საბჭოს ანგარიშებში, ... დარწმუნდეს, რომ ზედმეტად დაუხარჯავს 15 მანეთი, რომელსაც არავისგან არც ვითხოვლობ, არც მითხოვია.

იმედია კოოპერატივის გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებიც დარწმუნდებიან, რომ არა თუ მარტო 500 მანეთი, არაძედ დანარჩენი 833 მან. 05 კაპ. რომელიც საბჭოს სხვა წევრებმა გამოიტანეს კოოპერატივიდან, ხარჯვნები მაქვს შემოსავალში.

როგორც რაბათში მცხოვრები, საბჭოს სასარგებლოდ ვიხდიდი თვეში 5 მანეთს და ძიუხედავად იმისა, რომ საბჭოში ვასრულებდი ხაქმის მწარმოებლის და მდივნის თანამდებობასაც, მაინც კიდევ ვასოულებდი მოკალაქობრივ მოვალეობასაც და ორ-სამ დღეში ერთი თხრილებში სხვებთან ერთად გავდიოდი საყარაულოდ და ის პირები, რომლებსაც თბილ ბალიშზე თავი ედვათ და საერთო საქმისთვის თითი თითსაც არ დაუკარავთ, და თუ დაუკარავთ მხოლოდ თავიანთ ჯიბის სასარგებლოდ, დღეს გამოდიან რაბათ და ეკვიანობენ კიდეც. ასეთი მათი გამოსვლა ცოტა არ იყოს უსამართლობაა, სხვა რომ არა ვსთქვარო.

ზაქარია დიდიმაძეშვილი.

*) ამ ხარჯებში შედის, სხვათა შორის არეულობის დროს მაძაგიანთა ხარჯად ანაბლავრება, ეტლის ხარჯი, ერთდროულად დახმარება უმწეოდ დარჩენილ ქართველებისადმი, უარაულებისთვის ფქვილი და კარტოფილი, გამოქცეულ ქართველ ბავშვებზე დახარჯული ფული და სხვ.

გამომცემელი
ხამბარ ფირცხალავა.

რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმმა ... განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 საღ. 5—6 კვირის გარდა. ოდესა ქუჩა 15 ტელ. 18—05. 2010

ექიმი ... გამოიტანეს ... ...